ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2842186

ნომერი: AR1433243

თარიღი : 18.08.2016

გაცემის თარიღი : 19.09.2016

გაცნობის თარიღი : 19.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 14 , (ნაკვეთი N7/69) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეთერ თანანაშვილი პ/ნ 01024023806
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 6/8 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე ღიობების რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ნუცუბიძის ქუჩა, N14, (ნაკვეთიN7/69), სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“-სა და შპს „სელკომი“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობების რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“-სა და შპს „სელკომი“-ს საკუთრებაშისაკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016213198 21/04/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.10.15.007.069, ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი, ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზი, მინდობილობა, შპს „სელკომი“-ს თანხმობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ნუცუბიძის ქუჩა, N14, (ნაკვეთიN7/69), სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“-სა და შპს „სელკომი“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ღიობების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს (კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დასკვნის საფუძველზე დამუშავებულ იქნას კონსტრუქციული სქემა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.